საქართველოს მთავრობის

დადგენილება №361

2021 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა და აღნიშნულის მომიჯნავედ, განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე, 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებისა და „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №591 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებსა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №64.30.01.356; №64.10.02.185; №64.30.06.276) და აღნიშნულის მომიჯნავედ, განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**